გიორგი ჩახვაძე[1]

საერთაშორისო საზღვაო ტერორიზმისა და ზღვაზე ჩადენილი სხვა დანაშაულების შედარება

აბსტრაქტი

თანამედროვე ეტაპზე, მიმდინარე მოვლენების ფონზე საერთაშორისო საჯარო სამართალში ძალზე აქტუალურია საზღვაო ტერორიზმთან ბრძოლის საკითხი. ვინაიდან დღემდე სამეცნიერო ლიტერატურაში არსებობს დავა ცნებებისა და მათი მიმართების შესახებ, მნიშვნელოვანია შევაფასოთ რამდენად მიზანშეწონილია მეკობრეობის სამართლის გავრცელება (საერთაშორისო) საზღვაო ტერორიზმზე ან თუნდაც საზღვაო შეიარაღებულ ძარცვაზე. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით არსებობს არერთგვაროვანი პრაქტიკა, ხოლო სამეცნიერო ლიტერატურაში არსებული განმარტებები რიგ შემთხვევებში ახდენს გარკვეული ცნებების ერთმანეთში აღრევას.

ამდენად, წარმოდგენილი სტატია მიზნად ისახავს შემოგვთავაზოს (საერთაშორისო) საზღვაო ტერორიზმის, მეკობრეობისა და საზღვაო შეიარაღებული ძარცვის განმარტებები და გასცეს პასუხი კითხვას თუ რამდენად მიზანშეწონილია მეკობრეობის მარეგულირებელი ნორმების გავრცელება (საერთაშორისო) საზღვაო ტერორიზმსა და საზღვაო შეიარაღებულ ძარცვაზე. აღნიშნულ საკითხს კიდევ უფრო მეტ აქტუალობას სძენს წითელ ზღვაში ირანის მიერ მხარდაჭერილი ჰუსიტების ჯგუფის მიერ სხვადასხვა სახელმწიფოს გემების წინააღმდეგ განხორციელებული თავდასხმები, რაც წარმოაჩენს პოტენციურად მნიშვნელოვანი კრიტერიუმის გათვალისწინების აუცილებლობას საზღვაო ტერორიზმისა და მეკობრეობის გამიჯვნის თვალსაზრისით და უკავშირდება თავდასხმებიდან მომდინარე საფრთხის სიდიდეს (magnitude of threat).

საკვანძო სიტყვები: *(საერთაშორისო) საზღვაო ტერორიზმი; მეკობრეობა; საზღვაო შეიარაღებული ძარცვა; საერთაშორისო საზღვაო სამართალი; საერთაშორისო საჯარო სამართალი.*

შესავალი

დღეისათვის, მიმდინარე მოვლენების ფონზე[2] საერთაშორისო საჯარო სამართალში ძალზე აქტუალურია საზღვაო ტერორიზმთან ბრძოლის საკითხი. ვინაიდან დღემდე

---

[1] ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დოქტორანტი. ვილნიუსის ტექნიკური უნივერსიტეტი (VILNIUS TECH). ლიეტუვის საზღვაო აკადემიის ლექტორი. ელ.ფოსტა: georgechakhvadze93@gmail.com.

[2] უკრაინაში რუსეთის შეჭრის შემდეგ რუსეთმა დააზიანა უცხოური დროშის ქვეშ მცურავი კომერციული გემები, რაც სავსებით აკმაყოფილებს ომის დანაშაულის ელემენტებს. აღნიშნული კონფლიქტის ფონზე, არსებობს მრავალი ცნობა რუსეთის საზღვაო ძალების გემების მიერ შავი ზღვის პორტების ბლოკადისა და სავაჭრო მარშრუტებზე ნაღმების მოწყობის შესახებ. მაგალითად, 2022 წლის 24 თებერვლიდან რუსეთმა განახორციელა უკრაინული ქალაქების ბერდიანსკისა და მარიუპოლის ბლოკადა, რომლებიც მდებარეობენ აზოვის ზღვის სანაპიროზე. იხ: *Suakchev,* Breaches of International Maritime Laws in Russia's War against Ukraine, International Bar Association, 14 June, 2022.

სამეცნიერო ლიტერატურაში არსებობს დავა ცნებებისა და მათი მიმართების შესახებ, [3] მნიშვნელოვანია შევაფასოთ რამდენად მიზანშეწონილია მეკობრეობის სამართლის გავრცელება (საერთაშორისო) საზღვაო ტერორიზმზე ან თუნდაც საზღვაო შეიარაღებულ ძარცვაზე. [4] შეიძლება ითქვას, რომ ჯერ კიდევ 1990-იან წლამდე არსებობდა დამკვიდრებული პრაქტიკა ტერორისტული აქტების მეკობრეობად კვალიფიკაციისა. [5] ეს ტენდენცია არსებითად არ შეცვლილა 9/11-ის ტერორისტული აქტების შემდეგაც, ვინაიდან საზღვაო ტერორიზმი რიგ შემთხვევებში კვალიფიცირებული იქნა მეკობრეობად და პირიქით. [6] მაგალითად, 2003 წელს თავდამსხმელების მიერ განხორციელდა თავდასხმები ქიმიურ ტანკერებზე მალაკას სრუტეში და მაშინ, როდესაც დამნაშავეები მოქმედებდნენ წმინდა პირადი მიზნებით და მიზნად ისახავდნენ აღჭურვილობისა და სხვა ძვირფასი ნივთების დაუფლებას, აღნიშნული ინციდენტი მაინც შეფასდა ტერორიზმად.[7] საზღვაო ტერორიზმისა და მეკობრეობის გამიჯვნის პრაქტიკული პრობლემის საილუსტრაციოდ ასევე შეიძლება მოვიყვანოთ ,,Superferry"-ის ჩაძირვის ინციდენტი, რომელიც განხორციელდა სამგზავრო გემზე და 110 ადამიანის სიცოცხლე იმსხვერპლა.[8] მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული ინციდენტი განიხილება ყველაზე სისხლიან საზღვაო ტერორისტულ

https://www.ibanet.org/breaches-international-maritime-law-russia-ukraine [ბოლო განახლების თარიღი: 04.06.2024]; How Ukraine Overcame Russia's Grain Blockade, COUNCIL OF FOREIGN RELATIONS, February 27, 2024. https://www.cfr.org/article/how-ukraine-overcame-russias-grain-blockade#:~:text=Soon%20after%20sending%20more%20than,own%20shore%20and%20shallow%20waters. [ბოლო განახლების თარიღი: 04.06.2024]; *Lott A.,* Russia's Blockade in the Sea of Azov: A Call for Relief Shipments for Mariupol, EJILTALK, March 14, 2022. https://www.ejiltalk.org/russias-blockade-in-the-sea-of-azov-a-call-for-relief-shipments-for-mariupol/#:~:text=Russia%20also%20controls%20the%20airspace,(see%20the%20map%20above). [ბოლო განახლების თარიღი: 04.06.2024].

[3] საერთაშორისო საზღვაო ტერორიზმისა და მეკობრეობის ცნებების მიმართება იწვევს დავას საერთაშორისო საზღვაო სამართლის ექსპერტთა შორისაც. იხ. მაგალითისთვის: *Knyazeva N.A., Korobeev A.I,* Maritime Terrorism and Piracy: The Threat to Maritime Security, Mediterranean Journal of Social Sciences, Vol. 6, № 6 S3, 2015, 229; აღნიშნული დავის შესახებ ასევე იხ. ზოგადად: *Filipe B.,* CONFLATING PIRACY AND MARITIME TERRORISM: THE NEED FOR LONG TERM SOLUTIONS, № s2095157, Leiden, 2017/2018, 6.

[4] როგორც ჩანს, მეკობრეობის მარეგულირებელი ნორმების სხვა საზღვაო დანაშაულებზე გავრცელების იდეა საკმაოდ დამკვიდრებულია თანამედროვე საერთაშორისო სამართლის ლიტერატურაში. იხ. *Karim S. Md,* Maritime Terrorism and the Role of Judicial Institutions in the International Legal Order, Leiden/Boston, 2016, 39.

[5] იხ. *Brock S.B.,* STOP GIVING PIRATES A LIFEBOAT TO ESCAPE FROM THEIR ATTACK: THE PROBLEMS IN CONFLATING MARITIME TERRORISM AND PIRACY, Loyola Maritime Law Journal, Vol. 22, 2021, 73; *Hong N., Adolf K.Y. Ng.,* The international legal instruments in addressing piracy and maritime terrorism: A critical review, Research in Transportation Economics, Vol. 27, № 1, 2010, 55.

[6] იხ. ზოგადად: *Singh C., Bedi A.S.,* Working Paper No. 543 War on Piracy: the Conflation of Somali Piracy with Terrorism in Discourse, Tactic and Law, International Institute of Social Studies, 2012, 15.

[7] იხ. *Young A.J., Valencia M.J.,* Conflation of Piracy and Terrorism in Southeast Asia: Rectitude and Utility, Contemporary Southeast Asia, Vol. 25, № 2, 2003, 269.

[8] იხ. *Tantraphol N., Lorenz F.M.,* The Applicability Of national Anti-Terrorism Laws To Piracy: A Comparative Analysis Of Japan, The Philippines, And Singapore, Case Western Reserve University School of Law, 2012, 9.

აქტად, გავრცელებული ინფორმაციით, დამნაშავეთა მთავარი განზრახვა მაინც იყო გემის მფლობელებისაგან ფულის გამოძალვა. [9] ვფიქრობ, საზღვაო ტერორიზმისა და მეკობრეობის გამიჯვნის პრაქტიკული პრობლემის სათავედ უნდა მივიჩნიოთ ,,Achille Lauro"-ს ინციდენტი, რომელიც აშშ-სა და გაეროს წევრი რამდენიმე სახელმწიფოს მიერ იქნა შეფასებული მეკობრეობად იმ პირობებში, როდესაც ქმედებები არ განხორციელებულა პირადი მიზნებისთვის და არ იყო დაკმაყოფილებული ორი გემის მოთხოვნა. [10] აღნიშნულმა ინციდენტმა დიდი წვლილი შეიტანა საზღვაო ნაოსნობის უსაფრთხოების წინააღმდეგ მიმართული უკანონო ქმედებების აღკვეთის შესახებ 1988 წლის ,,SUA" კონვენციის მიღებაში, [11] რომელიც ერთგვარად განიხილება მტკიცებულებად იმისა, რომ მეკობრეობა არ მოიცავს პოლიტიკურად მოტივირებულ ქმედებებს. [12]

(საერთაშორისო) საზღვაო ტერორიზმსა და მეკობრეობას შორის არსებობს ფუნდამენტური მსგავსებები, რომლებიც, inter alia, მოიცავს შემდეგს: ა) ორივე დანაშაულს შესაძლოა ადგილი ჰქონდეს ღია ზღვაში; ბ) ორივე დანაშაული მიმართულია გემის, მისი ეკიპაჟის, გემის ბორტზე არსებული ქონებისა და ნაოსნობის უსაფრთხოების წინააღმდეგ; გ) როგორც საერთაშორისო საზღვაო ტერორიზმი, ისე მეკობრეობა მოიცავს ძალადობას ან ძალადობის მუქარას; დ) ორივე დანაშაული შეიძლება მოიცავდეს ერთი და იგივე საშუალებების გამოყენებას დასახული მიზნების მისაღწევად (მაგ. გემების გატაცება). [13] საერთაშორისო საჯარო სამართლის ძალზე ავტორიტეტულ პუბლიკაციებშიც კი ვხვდებით ავტორთა მცდელობას მოიაქციონ საერთაშორისო საზღვაო ტერორისტული აქტები მეკობრეობის ქოლგის ქვეშ. [14] საზღვაო სამართლის ცნობილი ექსპერტი დუგლას გილფოილი მიუთითებს, რომ თავისი ბუნებით თანამედროვე საზღვაო ტერორისტული ინციდენტების უმეტესობა

[9] იქვე.
[10] იხ. ზოგადად: *Paust J.J.,* Extradition and United States Prosecution of the Achille Lauro Hostage-Takers: Navigating the Hazards, Vanderbilt Journal of Transnational Law, Vol. 20, № 2, 1987, 235-254.
[11] იხ. ზოგადად: *Joyner C.C.,* Suppression of Terrorism on the High Seas: The 1988 IMO Convention on the Safety of Maritime Navigation, Israel Yearbook on Hman Rights, Vol. 19, 1989, 343-345; *McGinley*, Achille Lauro Affair–Implications for International Law, Tennessee Law Review, Vol. 52, №. 4, 1984-1985, 693-704.
[12] *Honniball A.N.,* PRIVATE POLITICAL ACTIVISTS AND THE INTERNATIONAL LAW DEFINITION OF PIRACY: ACTING FOR 'PRIVATE ENDS', Adelaide Law Review, Vol. 36, 2015, 287.
[13] იხ. *Modzhoryan L.A.,* Terrorism at Sea. The Struggle of the State to Ensure the Safety of Maritime Navigation, Moscow, 1991, 227-230; *Knyazeva N.A., Korobeev A.I,* Maritime Terrorism and Piracy: The Threat to Maritime Security, Mediterranean Journal of Social Sciences, Vol. 6, № 6 S3, 2015, 229; *Hong N., Adolf K.Y. Ng.,* The international legal instruments in addressing piracy and maritime terrorism: A critical review, Research in Transportation Economics, Vol. 27, № 1, 2010, 51; *SHAH H.A.R.,* A LEGAL ANALYSIS OF PIRACY AND ARMED ROBBERY AT SEA IN THE STRAITS OF MALACCA: THE MALAYSIAN PERSPECTIVE, Birmingham, 2013, 105.
[14] იხ. მაგალითისთვის: *Bahar M,* Attaining Optimal Deterrence at Sea: A Legal and Strategic Theory for Naval Anti-Piracy Operations, Vanderbilt Journal of Transnational Law, Vol. 40, № 1, 2021, 26-40.

შეიძლება მეკობრეობად იქნეს კვალიფიცირებული. [15] თუ გადავხედავთ სახელმწიფოთა შიდა კანონმდებლობების ნაწილს, ვნახავთ, რომ მათში მოცემული მეკობრეობის განმარტება იმდენად ფართოა, რომ პოტენციურად მოიცავს საზღვაო ტერორისტულ აქტებსაც. [16]

ცალკე აღნიშვნის ღირსია მეკობრეობისა და საზღვაო შეიარაღებული ძარცვის ცნებების კონცეპტუალური აღრევის ერთგვარი ტენდენცია. მაგალითად, ადემუნ ოდეკე ძალზე საკამათოდ მიუთითებს, რომ საერთაშორისო საზღვაო სამართლის შესახებ 1982 წლის კონვენციით (შემდგომში 1982 წლის კონვენცია) მოცემული მეკობრეობის განმარტება არის ძალზე ფართო, ანაქრონისტული და პოტენციურად მოიცავს საზღვაო შეიარაღებული ძარცვის აქტებს. [17] ქვემოთ მოცემული ანალიზი გვიჩვენებს, რომ აღნიშნული კრიტიკა არის აზრს მოკლებული ვინაიდან 1982 წლის კონვენციაში მოცემული მეკობრეობის განმარტება ცალსახად მიჯნავს ერთმანეთისაგან მეკობრეობისა და საზღვაო შეიარაღებული ძარცვის ცნებებს.

ამდენად, წარმოდგენილი სტატია მიზნად ისახავს შემოგვთავაზოს (საერთაშორისო) საზღვაო ტერორიზმის, მეკობრეობისა და საზღვაო შეიარაღებული ძარცვის განმარტებები და გასცეს პასუხი კითხვას თუ რამდენად მიზანშეწონილია მეკობრეობის მარეგულირებელი ნორმების გავრცელება (საერთაშორისო) საზღვაო ტერორიზმსა და საზღვაო შეიარაღებულ ძარცვაზე. აღნიშნულ საკითხს კიდევ უფრო მეტ აქტუალობას სძენს წითელ ზღვაში ირანის მიერ მხარდაჭერილი ჰუსიტების ჯგუფის მიერ სხვადასხვა სახელმწიფოს გემების წინააღმდეგ განხორციელებული თავდასხმები. [18] აღნიშნული ინციდენტი წარმოაჩენს კიდევ ერთი, პოტენციურად მნიშვნელოვანი კრიტერიუმის გათვალისწინების აუცილებლობას საზღვაო ტერორიზმისა და მეკობრეობის გამიჯვნის თვალსაზრისით და უკავშირდება თავდასხმებიდან მომდინარე საფრთხის სიდიდეს (magnitude of threat). [19]

---

[15] *Karim S. Md,* Maritime Terrorism and the Role of Judicial Institutions in the International Legal Order, Leiden/Boston, 2016, 48.

[16] ამის კარგი მაგალითია იაპონია, სადაც მეკობრეობის სამართალი გარკვეულწილად ფარავს საზღვაო ტერორისტულ აქტებს. იხ. *Tantraphol N., Lorenz F.M.,* The Applicability Of national Anti-Terrorism Laws To Piracy: A Comparative Analysis Of Japan, The Philippines, And Singapore, Case Western Reserve University School of Law, 2012, 18.

[17] *Musto C.,* THE ELEMENTS OF MARITIME PIRACY: PLUMBING THE DEPTHS FOR A LEGAL SOLUTION TO AN ENDURING GLOBAL PROBLEM, Australian National University (ANU College of Law), 2012, 16.

[18] Who are the Houthis and why are they attacking Red Sea ships?, BBC, 15 March, 2024. https://www.bbc.com/news/world-middle-east-67614911 [ბოლო განახლების თარიღი: 10.06.2024].

[19] ამასთან დაკავშირებით, ჯეიმს კრასკა აღნიშნავს, რომ ჰუსიტების თავდასხმებიდან მომდინარე საფრთხე გაცილებით დიდია, ვიდრე სომალელი მეკობრეებიდან მომდინარე საფრთხე, რომლებიც იყენებდნენ მცირე იარაღს გემების დასაჭერად და ეკიპაჟის დასატყვევებლად, მაშინ, როდესაც ჰუსიტები იყენებენ ბალისტიკურ რაკეტებსა და უპილოტო საფრენ აპარატებს საზღვაო ხომალდებზე თავდასხმების განსახორციელებლად. იხ. *Kraska,* Attacks on U.S. Warships Justify Self-Defense Against

თავი 1. (საერთაშორისო) საზღვაო ტერორიზმის ცნება

თანამედროვე საერთაშორისო სამართალში არ არსებობს საერთაშორისო ტერორიზმის ერთიანი, უნივერსალური განმარტება. [20] ტერორიზმის თავიდან აცილებისა და დასჯის შესახებ ჟენევის 1937 წლის კონვენცია საერთაშორისო ტერორიზმს განმარტავდა როგორც დანაშაულებრივ ქმედებას, რომელიც მიმართული იყო სახელმწიფოს წინააღმდეგ და მიზნად ისახავდა ცალკეულ ინდივიდებში, ინდივიდთა ჯგუფებში ან სამოქალაქო მოსახლეობაში შიშის დათესვას, თუმცა, აღნიშნული კონვენცია ძალაში არ შესულა. [21] 1963 წლიდან მოყოლებული გაეროს ეგიდით მიღებული კონვენციები რეალურად გვთავაზობენ ფრაგმენტულ მიდგომას (იკრძალება საერთაშორისო ტერორიზმის ცალკეული გამოვლინებები) საერთაშორისო ტერორიზმის შეთანხმებული განმარტების შემუშავების ნაცვლად. [22] სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ ,,ტერორიზმთან მიმართებაში საერთაშორისო სამართლისთვის დამახასიათებელი დღევანდელი ტენდენცია მდგომარეობს იმაში, რომ აქცენტი გადატანილია საერთაშორისო

Houthi Forces Ashore, LAWFARE, January 2, 2024, https://www.lawfaremedia.org/article/attacks-on-u.s.-warships-justify-self-defense-against-houthi-forces-ashore, [ბოლო განახლების თარიღი: 10.06.2024]

[20] იხ. *Stahn C.,* An Introduction to INTERNATIONAL CRIMINAL LAW, Leiden, 2018, 29; ასევე იხ. ზოგადად: *Walker C.,* Terrorism and the Law, Oxford, 2011, 132; *Garmon T.,* International Law of the Sea: Reconciling the Law of Piracy and Terrorism in the wake of September 11, Tulane Maritime Law Journal, Vol. 27, № 1, 2002, 271; *Alexander D.C.,* Maritime Terrorism and Legal Responses, Denver Journal of International Law and Policy, Vol. 19, № 3, 1991, 259.

[21] იხ. Treaty-based crimes of terrorism – universal counter terrorism instruments, United Nations Office on Drugs and Crime (UNODC), United Nations Office on Drugs and Crime, https://www.unodc.org/e4j/en/terrorism/module-4/key-issues/treaty-based-crimes-of-terrorism.html [ბოლო განახლების თარიღი: 10.06.2024].

[22] იხ. მაგალითისთვის: ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის საერთაშორისო კონვენცია (**წყარო:** https://treaties.un.org/doc/db/terrorism/english-18-11.pdf; **ძალაშია** 2002 წლის 10 აპრილიდან); ტერორისტული აფეთქებების აღკვეთის საერთაშორისო კონვენცია (**წყარო:** https://treaties.un.org/doc/db/terrorism/english-18-9.pdf; **ძალაშია** 2001 წლის 23 მაისიდან); კონვენცია პლასტიკური ფეთქებადი ნივთიერებების გამოვლენის მიზნით მარკირების შესახებ (**წყარო:** https://treaties.un.org/doc/db/terrorism/conv10-english.pdf; **ძალაშია** 1998 წლის 21 ივნისიდან); საზღვაო ნაოსნობის უსაფრთხოების წინააღმდეგ მიმართული უკანონო ქმედებების აღკვეთის 1988 წლის SUA კონვენცია (**წყარო:** https://treaties.un.org/doc/db/terrorism/conv8-english.pdf ; **ძალაშია** ძალაშია 1992 წლის 1 მარტიდან); კონტინენტურ შელფზე მდებარე ფიქსირებული პლატფორმების უსაფრთხოების წინააღმდეგ მიმართული უკანონო ქმედებების აღკვეთის 1988 წლის ოქმი (**წყარო:** https://treaties.un.org/doc/db/Terrorism/Conv9-english.pdf; **ძალაშია** ძალაშია 1992 წლის 1 მარტიდან); საზღვაო ნაოსნობის უსაფრთხოების წინააღმდეგ მიმართული უკანონო ქმედებების აღკვეთის კონვენციის 2005 წლის ოქმი (**წყარო:** https://sherloc.unodc.org/cld/uploads/res/treaties/definitions/treaty/protocol_to_the_convention_for_the_suppression_of_unlawful_acts_against_the_safety_of_maritime_navigation_2005_html/Protocol_to_Maritime_Convention_E.pdf; **ძალაშია** 2010 წლის 28 ივლისიდან); ფიქსირებული პლატფორმების უსაფრთხოების წინააღმდეგ უკანონო ქმედებების აღკვეთის 2005 წლის ოქმი (**წყარო:** https://sherloc.unodc.org/cld/uploads/res/treaties/definitions/treaty/protocol_to_the_protocol_for_the_suppression_of_unlawful_acts_against_the_safety_of_fixed_platforms_located_on_the_continental_shelf_2005_html/Protocol_to_Fixed_Platform_Protocol_E.pdf; **ძალაშია** 2010 წლის 28 ივლისიდან); *Kandler K.,* Violence at Sea The Legal Framework to Combat Maritime Terrorism, Tromso, 2016, 6.

კონვენციების დებულებების შიდასახელმწიფოებრივ კანონმდებლობაში ასახვაზე და არა ტერორიზმის საყოველთაოდ აღიარებული დეფინიციის შემუშავებაზე, საერთაშორისო დანაშაულად გამოცხადებაზე". [23] მეცნიერთა ნაწილს სჯერა, რომ საერთაშორისო საზოგადოება ვერასდროს ვერ შეთანხმდება საერთაშორისო ტერორიზმის ობიექტურ და უნივერსალურ განმარტებაზე, ვინაიდან ,,ერთთათვის ტერორისტი, სხვებისთვის თავისუფლებისთვის მებრძოლია". [24]

შეიძლება გამოვყოთ სახელმწიფოთა ეროვნული კანონმდებლობების როლი საერთაშორისო ტერორიზმის განმარტების კუთხით. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 323 (2) მუხლი ახდენს საერთაშორისო ტერორიზმში მონაწილეობის კრიმინალიზაციას. [25] ,,ტერორიზმთან ბრძოლის შესახებ" საქართველოს კანონის პირველი მუხლის ,,დ" ქვეპუნქტის თანახმად, ,,საერთაშორისო ტერორიზმი არის ტერორისტული საქმიანობა, რომელიც განხორციელდა: ა) ტერორისტების, ტერორისტული ჯგუფების ან ტერორისტული ორგანიზაციების მიერ სხვა სახელმწიფოს (სახელმწიფოების) ტერიტორიაზე (ტერიტორიებზე), ან თუ ზიანი მიადგა სხვა სახელმწიფოს (სახელმწიფოებს); ბ) ერთი სახელმწიფოს მოქალაქეთა მიერ მეორე სახელმწიფოს მოქალაქეთა მიმართ; გ) იმ შემთხვევაში, როდესაც როგორც ტერორისტი, ისე ტერორიზმის მსხვერპლი არიან ერთი ან სხვადასხვა სახელმწიფოს მოქალაქეები, მაგრამ ტერორისტული აქტი ჩადენილია ამ სახელმწიფოთა ტერიტორიების გარეთ". [26]

აღნიშნული სტატიის მიზნებისთვის შემოთავაზებულია საერთაშორისო ტერორიზმის შემდეგი სამუშაო განმარტება: საერთაშორისო ტერორიზმის დანაშაული მოიცავს ძალადობას ან ძალადობის მუქარას, როგორც ცალკეულ ჯგუფებსა და ინდივიდებში შიშის დათესვის მეთოდის გამოყენებას პოლიტიკური მიზნის მისაღწევად, რომელიც ხორციელდება სამოქალაქო მოსახლეობის, მთავრობის ან მისი რომელიმე სეგმენტის იძულებით, განახორციელოს ესა თუ ის მოქმედება ან თავი შეიკავოს მისი განხორციელებისაგან და რომელიც შეიცავს ტრანსნაციონალურ ელემენტს, რაც იმას ნიშნავს, რომ ის არ შემოიფარგლება ერთი სახელმწიფოს ტერიტორიით. [27]

---

[23] *გორაშვილი გ*, ტერორიზმის კრიმინოლოგიური დახასიათება, თბილისი, 2011, 18.

[24] *Ganor B,* Defining Terrorism: Is One Man's Terrorist another Man's Freedom Fighter?, Police Practice and Research, Vol. 3, № 4, 2002, 287.

[25] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, მუხლი 323 (2), წყარო: საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, გამოქვეყნების თარიღი: 13/08/1999.

[26] ტერორიზმთან ბრძოლის შესახებ საქართველოს კანონი, პირველი მუხლის ,,დ" ქვეპუნქტი, წყარო: საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, გამოქვეყნების თარიღი: 11/07/2007.

[27] იხ. ზოგადად: *Kandler K.,* Violence at Sea The Legal Framework to Combat Maritime Terrorism, Tromso, 2016, 7; *Ambos K., & Timmermann A.,* Terrorism and Customary International Law, RESEARCH HANDBOOK ON INTERNATIONAL LAW AND TERRORISM (Ed. B. Saul), Cheltenham, 2020, 16 & 22; *Cassese A., & Gaeta P.,* CASSESE'S INTERNATIONAL CRIMINAL LAW, Oxford, 2013, 148-149.

საერთაშორისო ინსტრუმენტების ანალიზი გვიჩვენებს, რომ საერთაშორისო საზღვაო ტერორიზმის ობიექტური მხარე (actus reus) მოიცავს შემდეგ დანაშაულებრივ ქმედებებს (**იხ. ცხრილი #1**):

ცხრილი #1: საერთაშორისო საზღვაო ტერორიზმის ობიექტური მხარის ძირითადი ელემენტები.

ა) გემის ან ფიქსირებული პლატფორმის ხელში ჩაგდება ან კონტროლი ძალის გამოყენებით ან მისი გამოყენების მუქარით. [28]
ბ) ძალადობა პირის მიმართ, გემის, საზღვაო სანაოსნო ობიექტების ან ფიქსირებული პლატფორმის დაზიანება, ან საგნის ან მოწყობილობის განთავსება გემზე ან ფიქსირებულ პლატფორმაზე, თუ რომელიმე ასეთი ქმედება საფრთხეს უქმნის უსაფრთხო ნაოსნობას. [29]
გ) გემის, საზღვაო სანაოსნო ობიექტების ან ფიქსირებული პლატფორმის განადგურება. [30]
დ) კონვენციის სხვა ქვეპუნქტებში მოცემულ დანაშაულებთან დაკავშირებით ადამიანებისთვის ზიანის მიყენება ან მკვლელობა.[31]
ე) ბიოლოგიური/ქიმიური/ბირთვული იარაღის, რადიოაქტიური მასალების ან საშიში ნივთიერებების გამოყენება გემებზე ან პლატფორმებზე და/ან გემების ან პლატფორმების წინააღმდეგ. [32]

[28] იხ. საზღვაო ნაოსნობის უსაფრთხოების წინააღმდეგ მიმართული უკანონო ქმედებების აღკვეთის 1988 წლის SUA კონვენცია, მუხლი 3, ნაწილი 1, პუნქტი (a), (**წყარო**: https://treaties.un.org/doc/db/terrorism/conv8-english.pdf **ძალაშია** 1992 წლის 1 მარტიდან); კონტინენტურ შელფზე მდებარე ფიქსირებული პლატფორმების უსაფრთხოების წინააღმდეგ მიმართული უკანონო ქმედებების აღკვეთის 1988 წლის ოქმი, მუხლი 2, ნაწილი 1, პუნქტი (a), (**წყარო**: https://treaties.un.org/doc/db/Terrorism/Conv9-english.pdf **ძალაშია** 1992 წლის 1 მარტიდან).

[29] იხ. საზღვაო ნაოსნობის უსაფრთხოების წინააღმდეგ მიმართული უკანონო ქმედებების აღკვეთის 1988 წლის SUA კონვენცია, მუხლი 3, ნაწილი 1, პუნქტები (b), (c), (d), (**წყარო**: https://treaties.un.org/doc/db/terrorism/conv8-english.pdf **ძალაშია** 1992 წლის 1 მარტიდან); კონტინენტურ შელფზე მდებარე ფიქსირებული პლატფორმების უსაფრთხოების წინააღმდეგ მიმართული უკანონო ქმედებების აღკვეთის 1988 წლის ოქმი, მუხლი 2, ნაწილი 1, პუნქტები (b), (d), (**წყარო**: https://treaties.un.org/doc/db/Terrorism/Conv9-english.pdf **ძალაშია** 1992 წლის 1 მარტიდან).

[30] იხ. საზღვაო ნაოსნობის უსაფრთხოების წინააღმდეგ მიმართული უკანონო ქმედებების აღკვეთის 1988 წლის SUA კონვენცია, მუხლი 3, ნაწილი 1, პუნქტი (e), (**წყარო**: https://treaties.un.org/doc/db/terrorism/conv8-english.pdf **ძალაშია** 1992 წლის 1 მარტიდან); კონტინენტურ შელფზე მდებარე ფიქსირებული პლატფორმების უსაფრთხოების წინააღმდეგ მიმართული უკანონო ქმედებების აღკვეთის 1988 წლის ოქმი, მუხლი 2, ნაწილი 1, პუნქტი (c), (**წყარო**: https://treaties.un.org/doc/db/Terrorism/Conv9-english.pdf **ძალაშია** 1992 წლის 1 მარტიდან).

[31] იხ. საზღვაო ნაოსნობის უსაფრთხოების წინააღმდეგ მიმართული უკანონო ქმედებების აღკვეთის 1988 წლის SUA კონვენცია, მუხლი 3, ნაწილი 1, პუნქტი (g), (**წყარო**: https://treaties.un.org/doc/db/terrorism/conv8-english.pdf **ძალაშია** 1992 წლის 1 მარტიდან); კონტინენტურ შელფზე მდებარე ფიქსირებული პლატფორმების უსაფრთხოების წინააღმდეგ მიმართული უკანონო ქმედებების აღკვეთის 1988 წლის ოქმი, მუხლი 2, ნაწილი 1, პუნქტი (e), (**წყარო**: https://treaties.un.org/doc/db/Terrorism/Conv9-english.pdf **ძალაშია** 1992 წლის 1 მარტიდან).

[32] იხ. საზღვაო ნაოსნობის უსაფრთხოების წინააღმდეგ მიმართული უკანონო ქმედებების აღკვეთის კონვენციის 2005 წლის ოქმი, მუხლი 3bis (1)(a)(i)–(ii), 3bis(1)(b)(i), (**წყარო**: https://sherloc.unodc.org/cld/uploads/res/treaties/definitions/treaty/protocol_to_the_convention_for_the_suppression_of_unlawful_acts_against_the_safety_of_maritime_navigation_2005_html/Protocol_to_Maritime_Conve

3) გემების გამოყენება მკვლელობის, სერიოზული დაზიანებების ან ზიანის, მათ შორის, გარემოსდაცვითი ზიანის მიყენების მიზნით. [33]

საგულისხმოა, რომ სამეცნიერო ლიტერატურაში საერთაშორისო საზღვაო ტერორიზმისთვის ხმელეთზე განხორციელებული მოსამზადებელი სამუშაოები ასევე მიჩნეულია დანაშაულის ობიექტური შემადგენლობის ნაწილად, რის საფუძვლადაც ავტორები მიუთითებენ ლიბანის სპეციალური ტრიბუნალის გადაწყვეტილებას ,,აიაშის" საქმეზე. [34] კრისტოფერ ჯოინერი საერთაშორისო საზღვაო ტერორიზმს განმარტავს როგორც ინდივიდის ან ინდივიდთა ჯგუფის მიერ ძალადობის ან ძალადობის მუქარის სისტემატურ გამოყენებას საერთაშორისო ნაოსნობისა და საზღვაო მომსახურებების (maritime services) მიმართ, რომლის მიზანია სამოქალაქო მოსახლეობაში შიშის დათესვა სხვადასხვა პოლიტიკური მიზნებისა და ამოცანების მისაღწევად. [35] სამუელ პიატ მენეფი საერთაშორისო საზღვაო ტერორიზმს განმარტავს როგორც ნებისმიერ უკანონო ქმედებას, რომელიც მიმართულია გემების, მათი მგზავრების, ტვირთის ან ეკიპაჟის, საზღვაო ნავსადგურების წინააღმდეგ სახელმწიფოთა მთავრობებზე პირდაპირი ან ირიბი გავლენის მოხდენის მიზნით. [36] საგულისხმოა, რომ ამ განმარტებათაგან არცერთი არ წარმოადგენს საერთაშორისო საზღვაო ტერორიზმის დამკვიდრებულ განმარტებას. [37] გარკვეული ავტორები ერთმანეთისგან განასხვავებენ პოლიტიკური და ეკონომიკური საზღვაო ტერორიზმის ცნებებს, რაც, ვფიქრობ, იწვევს საზღვაო ტერორიზმისა და მეკობრეობის ცნებების აღრევას. [38]

რაც შეეხება საერთაშორისო ტერორიზმის დანაშაულის სუბიექტურ მხარეს (mens rea), დანაშაული ჩვეულებრივ განზრახ არის ჩადენილი და მოიცავს მოსახლეობაში ტერორის გავრცელების მიზანს ან (სპეციალურ) განზრახვას აიძულოს მთავრობა ან

---

ntion E.pdf **ძალაშია** 1992 წლის 1 მარტიდან); ფიქსირებული პლატფორმების უსაფრთხოების წინააღმდეგ უკანონო ქმედებების აღკვეთის 2005 წლის ოქმი, მუხლი 2bis(a)–(b), (**წყარო**: https://sherloc.unodc.org/cld/uploads/res/treaties/definitions/treaty/protocol_to_the_protocol_for_the_suppression_of_unlawful_acts_against_the_safety_of_fixed_platforms_located_on_the_continental_shelf_2005_html/Protocol_to_Fixed_Platform_Protocol_E.pdf **ძალაშია** . 2005 წლის 8 ივლისიდან).

[33] იხ. საზღვაო ნაოსნობის უსაფრთხოების წინააღმდეგ მიმართული უკანონო ქმედებების აღკვეთის კონვენციის 2005 წლის ოქმი, მუხლი bis(1)(a)(iii), (**წყარო**: https://sherloc.unodc.org/cld/uploads/res/treaties/definitions/treaty/protocol_to_the_convention_for_the_suppression_of_unlawful_acts_against_the_safety_of_maritime_navigation_2005_html/Protocol_to_Maritime_Convention_E.pdf **ძალაშია** 1992 წლის 1 მარტიდან).

[34] იხ. *Karim S. Md,* Maritime Terrorism and the Role of Judicial Institutions in the International Legal Order, Leiden/Boston, 2016, 45.

[35] იქვე, 40.

[36] იქვე, 40-41.

[37] იხ. *Karim S. Md,* Maritime Terrorism and the Role of Judicial Institutions in the International Legal Order, Leiden/Boston, 2016, 41.

[38] იხ. მაგალითისთვის: *Bezkorovainiy V., Sokolyuk S.,* Piracy, Maritime Terrorism and Disorder at Sea: The View from the Ukraine, The Corbett Centre for Maritime Policy Studies, № 8, 2012, 17.

საერთაშორისო ორგანიზაცია განახორციელოს რაიმე ქმედება ან თავი შეიკავოს მისი განხორციელებისაგან. [39] აღნიშნული სუბიექტური ელემენტი ipso facto ვრცელდება საერთაშორისო საზღვაო ტერორიზმზეც. [40]

მიუხედავად საერთაშორისო საზღვაო ტერორიზმის შემოთავაზებული ფართო განმარტებისა, საკამათოა რამდენად არის SUA კონვენციის მე-3 მუხლი ამომწურავი. [41] ზოგადად შეგვიძლია გამოვყოთ ორი შემთხვევა, რომელიც არ არის მოცული კონვენციური განმარტებით, ესენია: ა) დივერსიული თავდასხმები სანაპირო დანადგარებსა და პორტებზე ტერორისტული აქტების ჩადენის მიზნით; [42] ბ) საპორტო ობიექტების წინააღმდეგ გემის იარაღად გამოყენება. [43] აღნიშნული პრობლემა იწვევს ერთგვარ სკეპტიციზმს საზღვაო სამართლის იურისტებს შორის კონვენციის ეფექტიანობასთან დაკავშირებით. მაგალითად, საერთაშორისო საზღვაო სამართლის ტრიბუნალის მოსამართლე ჟოზე ლუის ჟეზუსი აღნიშნავს, რომ კონვენციის დებულებები სრულად არ აკმაყოფილებენ ზღვაში სიცოცხლის შენარჩუნებისა და საზღვაო ნაოსნობის უსაფრთხოების უზრუნველყოფის თანამედროვე საჭიროებებს. [44] ფელისთი ატარდი სამართლიანად მიუთითებს, რომ 1988 წლის SUA კონვენცია უმთავრესად ფოკუსირებული იყო დანაშაულის შემდგომ რეგულირებაზე (post-crime

[39] იხ. *Perez-Leon-Acevedo J., Chakhvadze G.,* UNCHARTED WATERS: SHOULD INTERNATIONAL MARITIME TERRORISM BE INCLUDED IN THE JURISDICTION OF THE INTERNATIONAL CRIMINAL COURT?, Duke Journal of Comparative and International Law, Vol. 34, №1, 2024, 47.

[40] იქვე, 48 (კერძოდ, საზღვაო ნაოსნობის უსაფრთხოების წინააღმდეგ მიმართულ უკანონო აქტებთან ბრძოლის 1988 წლის კონვენცია (შემდგომში SUA კონვენცია) მიუთითებს მუქარაზე, რომელიც მიზნად ისახავს ფიზიკური ან იურიდიული პირის იძულებას განახორციელოს ან თავი შეიკავოს რაიმე ქმედებისაგან (იხ. საზღვაო ნაოსნობის უსაფრთხოების წინააღმდეგ მიმართული უკანონო ქმედებების აღკვეთის 1988 წლის SUA კონვენცია, მუხლები 3 (1) და 3 (2). მსგავს ფორმულირებას შეიცავს SUA კონვენციის 2005 წლის ოქმი, რომელიც ადგენს, რომ საერთაშორისო საზღვაო ტერორისტული აქტის მიზანი არის ,,მოსახლეობის დაშინება, ან მთავრობის ან საერთაშორისო ორგანიზაციის იძულება განახორციელოს ან თავი შეიკავოს რაიმე ქმედებისაგან" (საზღვაო ნაოსნობის უსაფრთხოების წინააღმდეგ მიმართული უკანონო ქმედებების აღკვეთის 1988 წლის SUA კონვენციის 2005 წლის ოქმი, მუხლი 3 (1) (a)).

[41] იხ. ზოგადად: *Бакала А*, МОРСКОЕ ПИРАТСТВО И ТЕРРОРИЗМ НА МОРЕ: ПРОБЛЕМА СООТНОШЕНИЯ И РАЗГРАНИЧЕНИЯ ПОНЯТИЙ, Национальный университет «Одесская юридическая академия», 2013, 321.

[42] იქვე.

[43] იხ. ზოგადად: *Kandler K.,* Violence at Sea The Legal Framework to Combat Maritime Terrorism, Tromso, 2016, 33; *Tuerk H.,* Combating Terrorism At Sea – The Suppression Of Unlawful Acts, University of Miami International and Comparative Law Review, Vol. 15, № 3, 2008, 353. ასევე იხ. საზღვაო ნაოსნობის უსაფრთხოების წინააღმდეგ მიმართული უკანონო ქმედებების აღკვეთის 1988 წლის SUA კონვენცია, მუხლი 3, ნაწილი 1, ,,e" პუნქტი (e), (**წყარო**: https://treaties.un.org/doc/db/terrorism/conv8-english.pdf **ძალაშია** 1992 წლის 1 მარტიდან).

[44] *Jesus J.,* International Tribunal for the Law of the Sea, Report on the work of the 61st Session of the International Law Commission, 4May-5 June and 6 July-7 August, 2009, no.10 (A/64/10), 391.

regulation) და ვერ უზრუნველყოფდა გემზე ჩასხდომის პროცედურებს, რაც იყო კონვენციის შემდგომი ცვლილებების ერთ-ერთი უმთავრესი მიზეზი. [45]

SUA კონვენციის თანახმად, საერთაშორისო საზღვაო ტერორიზმის დანაშაული ასევე უკავშირდება საზღვაო ტრანსპორტის გამოყენებას. [46] კერძოდ, კონვენციის 2005 წლის ოქმის 3 ,,ter" მუხლი ადგენს, რომ ,,ნებისმიერი პირი სჩადის დანაშაულს წინამდებარე კონვენციის მნიშვნელობით, თუ ამ პირს უკანონოდ და განზრახ გადაჰყავს პირი გემზე იმის ცოდნით, რომ ამ პირმა ჩაიდინა ქმედება, რაც წარმოადგენს სამართალდარღვევას კონვენციის 3 ,,bis" ან 3 ,,quater" მუხლების თანახმად ან სამართალდარღვევას, რომელიც მითითებულია დანართში მოცემულ ერთ-ერთ ხელშეკრულებაში და აპირებს დაეხმაროს ამ პირს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის თავიდან აცილებაში". [47] და ბოლოს, აზიისა და წყნარი ოკეანის რეგიონში უსაფრთხოების თანამშრომლობის საბჭო (The Council for Security Cooperation in the Asia Pacific) საზღვაო ტერორიზმს განსაზღვრავს როგორც ტერორისტული აქტების განხორციელებას: ა) საზღვაო გარემოში; ბ) ზღვაში ან ნავსადგურში გემების ან ფიქსირებული პლატფორმების გამოყენებით ან მათ წინააღმდეგ ან მათი რომელიმე მგზავრის ან პერსონალის წინააღმდეგ; გ) სანაპირო ნაგებობების ან დასახლებების, მათ შორის, ტურისტული ადგილების, ნავსადგურებისა და საპორტო ქალაქების წინააღმდეგ. [48]

თავი 2. მეკობრეობა

მეკობრეობა ერთ-ერთი უძველესი დანაშაულია, რომელიც ტრადიციულად განიხილებოდა როგორც საერთაშორისო სამართლის წინააღმდეგ მიმართული, უნივერსალურ იურისდიქციას დაქვემდებარებული დანაშაული. [49] „ლოტუსის" საქმეში საერთაშორისო მართლმსაჯულების მუდმივმოქმედი სასამართლოს (PCIJ) მოსამართლე მური აღნიშნავს, რომ მეკობრეობა განეკუთვნება იმ კატეგორიის დანაშაულთა რიცხვს, რომელიც რეგულირდება არა შიდასახელმწიფოებრივი, არამედ

[45] იხ. *Attard F,* IMO's Contribution to International Law Regulating Maritime Security, Journal of Maritime Law & Commerce, Vol .45, № .4, 2014, 513.

[46] იხ.ზოგადად: *Plöger S.M.,* THE PREVENTION OF MARITIME TERRORISM Is Today's Maritime Security Sufficient?, Oslo, 2008, 8.

[47] იხ. საზღვაო ნაოსნობის უსაფრთხოების წინააღმდეგ მიმართული უკანონო ქმედებების აღკვეთის კონვენციის 2005 წლის ოქმი, მუხლი 3 ter, (**წყარო**: https://sherloc.unodc.org/cld/uploads/res/treaties/definitions/treaty/protocol_to_the_convention_for_the_suppression_of_unlawful_acts_against_the_safety_of_maritime_navigation_2005_html/Protocol_to_Maritime_Convention_E.pdf **ძალაშია** 1992 წლის 1 მარტიდან).

[48] იხ. *Plöger S.M.,* THE PREVENTION OF MARITIME TERRORISM Is Today's Maritime Security Sufficient?, Oslo, 2008, 7.

[49] იხ. *Kontorovich E,* The Penalties for Piracy: An Empirical Study of National Prosecution of International Crimes, Northwestern University School of Law, Faculty Working Papers, 2012, 6.

საერთაშორისო სამართლის მიერ (law of nations). [50] საერთაშორისო სამართლის სპეციალისტებს შორისაც უდავოა, რომ მეკობრეობის დანაშაულის ჩამდენი პირი როგორც კაცობრიობის მტერი (hostis humani generis) ექვემდებარება გასამართლებას ნებისმიერი სახელმწიფოს მიერ. [51]

მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, წლების განმავლობაში დღის წესრიგში იდგა მეკობრეობის ერთგვაროვანი განმარტების შემუშავების საკითხი. მაგალითად, ალფრედ რუბინი გამოყოფდა მეკობრეობის სულ მცირე ექვს განსხვავებულ მნიშვნელობას (იხ. ცხრილი #2):

ცხრილი #2: ტერმინის „მეკობრეობა" განმარტება ალფრედ რუბინის მიერ.

1. ტერმინი „მეკობრეობის“ ყოფითი გამოყენება, რომელსაც არ გააჩნია სამართლებრივი მნიშვნელობა.
2. მეკობრეობის საერთაშორისო სამართლებრივი მნიშვნელობა, რომელიც ეხება არაღიარებულ ან აღიარებულ სახელმწიფოებს, რომელთა მთავრობები არ განიხილება უფლებამოსილად საერთაშორისო სამართლის შესაბამისად, რომ მოახდინონ გარკვეული საეჭვო საჯარო საქმიანობების ავტორიზაცია, როგორიცაა ბარბაროსული სახელმწიფოები 1600-1830-იან წლებში, მალაის სასულთნოები 1800-1880 წლებში და იონიის კუნძულების პრორექტორატი 1820-1830 წლებში.
3. მეკობრეობის საერთაშორისო სამართლებრივი მნიშვნელობა, რომელიც დაკავშირებულია არაღიარებულ საომარ მოქმედებებთან, როგორიცაა კონფედერაციული შტატების კომერციული თავდამსხმელები და კერძო პირები 1861-1865 წლების ამერიკის სამოქალაქო ომის დროს, შეერთებული შტატების ფედერალური მთავრობის თვალში.
4. მეკობრეობის საერთაშორისო სამართლებრივი მნიშვნელობა, რომელიც გულისხმობს უცხოელთა პირად ქმედებებს სხვა უცხოელთა მიმართ იმ გარემოებებში, რომ მესამე სახელმწიფოს სისხლის სამართლის იურისდიქცია მისაღებია საერთაშორისო საზოგადოებისთვის, მიუხედავად ჩვეულებრივი ტერიტორიული ან ეროვნული კავშირების არარსებობისა, რაც ჩვეულებრივ საჭიროა ეროვნული სისხლის სამართლის იურისდიქციის სახელმწიფოს ფარგლებს გარეთ გასავრცელებლად.

[50] *Kurlekar A., Pai M,* THE DIVERGENCE BETWEEN INTERNATIONAL LAW AND INDIAN LAW APPLICABLE IN COUNTER PIRACY MEASURES: ANALYSED THROUGH THE DECISION OF THE REPUBLIC OF ITALY V. UNION OF INDIA, Vol. 6, №3, 2013, 531.

[51] იხ. მაგალითისთვის: *Dixon M., McCorquodale R,* Cases and Materials on International Law, Oxford, 2016, 148.

5. მეკობრეობის სხვადასხვა სპეციალური საერთაშორისო სამართლებრივი მნიშვნელობები, რომლებიც გამომდინარეობენ ამა თუ იმ საერთაშორისო ხელშეკრულებიდან.
6. სხვადასხვა სახელმწიფოს შიდა კანონმდებლობებით გათვალისწინებული მეკობრეობის განმარტებები. [52]

რაც შეეხება მეკობრეობის სტატისტიკას, ეს უკანასკნელი ბოლო პერიოდის განმავლობაში ატარებს მუდმივად მზარდ ხასიათს. ასე მაგალითად, ოფიციალური მონაცემებით, 2022 წელს ადგილი ჰქონდა მეკობრეობის 58 შემთხვევას. [53] 2023 წელს ეს რიცხვი 7 ერთეულით გაიზარდა და 65 ინციდენტი შეადგინა. [54] საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაციის მონაცემებით, 1984-2013 წლებში მსოფლიოში განხორციელდა 6752 მეკობრეობის აქტი, რომელთა უმეტესობა მოხდა ბოლო ორი ათწლეულის განმავლობაში. [55] ოფიციალური მონაცემებით მეკობრეობისა და საზღვაო შეიარაღებული ძარცვის დანაშაულების რიცხვი 12%-ით გაიზარდა 2023 წლის პირველი ექვსი თვის განმავლობაში წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით. [56] თანამედროვე ეტაპზე, სომალის სანაპირო გადაიქცა მეკობრეობის ეპიცენტრად. ოფიციალური მონაცემებით, 2011 წლისათვის სომალის სანაპიროებზე მოქმედებდა დაახლოებით 1500 მეკობრე, დღეს კი მათმა რიცხვმა 4000-ს გადააჭარბა. [57]

მეკობრეობის საერთაშორისო სამართლებრივი განმარტება თავდაპირველად მოცემული იყო ღია ზღვის შესახებ ჟენევის კონვენციის მე-15 მუხლში, რომლის მიხედვითაც მეკობრეობა განიმარტებოდა როგორც ძალადობის, დაპატიმრებისა და ძარცვის ნებისმიერი უკანონო აქტი, რომელიც ჩადენილი იყო პირადი მიზნებისათვის ნებისმიერი კერძო საკუთრებაში არსებული გემის ეკიპაჟის წევრების ან მგზავრების

[52] *Rubin A,* The Law of Piracy, Denver Journal of International Law and Policy, Vol. 15, № .2, 1987, 173-174.
[53] იხ. *Vitale,* IMB 2023 report highlights rise in maritime piracy, Ship Technology, July 27, 2023, https://www.ship-technology.com/news/imb-2023-report-highlights-rise-in-maritime-piracy/?cf-view&cf-closed [ბოლო განახლების თარიღი: 04.06.2024].
[54] იქვე.
[55] იხ. IMO, Reports on Acts of Piracy and Armed Robbery against Ships, MSC. 4/Circ. 193, 2 April, 2013, https://wwwcdn.imo.org/localresources/en/OurWork/Security/Documents/193_Annual2012.pdf [ბოლო განახლების თარიღი: 04.06.2024].
[56] იხ. *Ajdin,* Piracy attacks on the rise, Splash 247, July 13, 2023. https://splash247.com/piracy-attacks-on-the-rise/ [ბოლო განახლების თარიღი: 04.06.2024].
[57] იხ. The Economics of Piracy, Pirate Ransoms and Livelihoods off the Coast of Somalia, GeoPolicity Inc., May 2011, https://nation.time.com/wp-content/uploads/sites/8/2011/05/the-economics-of-piracy-pirate-ransoms-livelihoods-off-the-coast-of-somalia-geopolicity-may-2011.pdf [ბოლო განახლების თარიღი: 04.06.2024]; *Abbas,* PIRACY IN SOMALIA, The Nippon Foundation, 2011-2012, https://www.un.org/depts/los/nippon/unnff_programme_home/fellows_pages/fellows_papers/djama_1112_djibouti_PPT.pdf [ბოლო განახლების თარიღი: 04.06.2024]; WHO DEFEATED THE SOMALI PIRATES?, CIMSEC, September 2, 2012. https://cimsec.org/who-defeated-the-somali-pirates/ [ბოლო განახლების თარიღი: 04.06.2024].

მიერ და მიმართული იყო ღია ზღვაში ან რომელიმე სახელმწიფოს იურისდიქციის მიღმა მყოფი ხომალდის ან/და ბორტზე მყოფი პირების წინააღმდეგ. [58] კონვენციის თანახმად, მეკობრეობაში ასევე იგულისხმება გემის გამოყენებაში ნებაყოფლობით მონაწილეობის ნებისმიერი აქტი, თუ ამგვარი ქმედების ჩამდენმა იცის გარემოებები, რომელთა მიხედვითაც ეს გემი არის მეკობრე გემი. [59]

საერთაშორისო საზღვაო ბიურო (International Maritime Bureau) მეკობრეობას განმარტავს როგორც ,,ნებისმიერ გემზე ჩასხდომის აქტს ძარცვის ან სხვა დანაშაულის ჩადენის განზრახვით, რაც მოიცავს ძალის გამოყენების განზრახვას ან შესაძლებლობას დანაშაულებრივი ქმედებების ჩასადენად". [60] აღნიშნული განმარტებიდან ნათელია, რომ ქმედების ღია ზღვაში ან თუნდაც განსაკუთრებულ ეკონომიკურ ზონაში ჩადენა არ არის აუცილებელი მის მეკობრეობად კვალიფიკაციისათვის განსხვავებით 1982 წლის კონვენციაში მოცემული მეკობრეობის განმარტებისაგან. [61]

1982 წლის კონვენციის 101-ე მუხლის თანახმად მეკობრეობა მოიცავს შემდეგ ქმედებებს:

,,ა) ძალადობის ან დაკავების ნებისმიერ უკანონო აქტს ან ნებისმიერ ძარცვას, რომელიც ჩადენილია ნებისმიერი კერძო გემის ან საჰაერო ხომალდის ეკიპაჟის წევრების ან მგზავრების მიერ პირადი მიზნებით და მიმართულია:

(i) ღია ზღვაში მეორე გემის ან საჰაერო ხომალდის წინააღმდეგ, ან მათზე მყოფი პირების ან ქონების წინააღმდეგ;

(ii) გემის, საჰაერო ხომალდის, პირებისა და ქონების წინააღმდეგ ნებისმიერი სახელმწიფოს იურისდიქციის ფარგლებს მიღმა;

ბ) რომელიმე გემის ან საჰაერო ხომალდის გამოყენებაში ნებაყოფლობითი მონაწილეობის ნებისმიერი აქტი, რომელიც ჩადენილია იმ გარემოებების ცოდნით, რისთვისაც ეს გემი და საჰაერო ხომალდი ხდება მეკობრე.

გ) ნებისმიერი მოქმედება, რომელიც არის წამქეზებლური ან განზრახ ზემოქმედება იმ მოქმედების ჩასადენად, რომლებიც გათვალისწინებულია (ა) და (ბ) ქვეპუნქტებით". [62]

---

[58] იხ. ღია ზღვის შესახებ ჟენევის კონვენცია, მუხლი 15, (**წყარო**: https://www.legal-tools.org/doc/7b4abc-1/pdf/ **ძალაშია** 1962 წლის 30 სექტემბრიდან).
[59] იქვე. მუხლი 15, ნაწილი 2.
[60] იხ. *Nelson E.S.,* Maritime Terrorism and Piracy: Existing and Potential Threats, Global Security Studies, Vol. 3, № 1, 2012, 16.
[61] იხ. ზოგადად: *Amri A.A.,* THE INTERNATIONAL LEGAL DEFINITION OF PIRACY AND ITS MOTIVES, Jati, Vol. 19, 2014, 31-32; საერთაშორისო საზღვაო სამართლის შესახებ 1982 წლის კონვენცია, მუხლი 101, **წყარო**: https://www.un.org/depts/los/convention_agreements/texts/unclos/unclos_e.pdf **ძალაშია** 1994 წლის 16 ნოემბრიდან.
[62] იქვე.

მეკობრეობის საერთაშორისო სამართლებრივი განმარტებიდან შეიძლება გამოვყოთ ამ დანაშაულის ძირითადი ელემენტები (იხ. ცხრილი #3):

ცხრილი #3: მეკობრეობის დანაშაულის ძირითადი ელემენტები.

ა) მეკობრეობა შეიძლება განხორციელდეს ღია ზღვაში, განსაკუთრებულ ეკონომიკურ ზონაში ან სახელმწიფოს ექსკლუზიური იურისდიქციის ფარგლებს გარეთ (აქ იგულისხმება ქმედებების ჩადენა ,,terra nullius"-ის ტერიტორიების სანაპიროებზე). [63]
ბ) მეკობრეობის დანაშაული მიმართულია სხვა გემის, გემზე მყოფ პირთა ან მის ბორტზე არსებული ქონების წინააღმდეგ, ასევე ნაოსნობის უსაფრთხოების წინააღმდეგ.
გ) მეკობრეობის დანაშაულის ჩადენა შესაძლებელია კერძო გემით, სამხედრო ხომალდით ან სახელმწიფო ხომალდით.
დ) აუცილებელია, რომ გემის ეკიპაჟმა დაამყაროს კონტროლი სხვა სატრანსპორტო საშუალებაზე.
ე) მეკობრეობა მოიცავს ძალადობის ან დაკავების ნებისმიერ უკანონო აქტს ან ნებისმიერ ძარცვას. პრაქტიკაში, ძალადობა ატარებს შეიარაღებულ ხასიათს.
ვ) მეკობრეობა უნდა იქნეს ჩადენილი პირადი მიზნებით. [64]

თანამედროვე ეტაპზე არ არსებობს სრული კონსესუსი ტერმინის ,,პირადი მიზნები" განმარტების შესახებ, მაგრამ, უდავოა, რომ მეკობრეობა და საზღვაო ტერორიზმი ორი განსხვავებული დანაშაულია. აღნიშნული ერთგვარად დადასტურებული იქნა საქმეში ,,Castle John and Nederlandse Stichting Sirius v. NV Mabeco and NV Parfin", სადაც სასამართლოს უნდა გადაეწყვიტა იყო თუ არა ,,Greenpeace"-ის წევრების მიერ ღია ზღვაში ორი გემის დაკავება, რაც ერთგვარად კამპანიის სახეს ატარებდა და როგორც ასეთი, მიზნად ისახავდა საზოგადოებრივი ყურადღების მიპყრობას გემებიდან ზღვაში ნარჩენების ჩაშვების საფრთხის შესახებ, მეკობრეობა. [65] ამ კითხვაზე

[63] *Logina A,* THE INTERNATIONAL LAW RELATED TO MARITIME SECURITY: AN ANALYSIS OF ITS EFFECTIVENESS IN COMBATING PIRACY AND ARMED ROBBERY AGAINST SHIPS, Malmö, 2009, 30.

[64] იქვე, 4-41. ასევე იხილეთ ზოგადად: *Nilasari*, *Steele L,* UNCLOS Definition of Piracy: Is it still relevant for Modern Piracy, Mulawarman Law Review, Vol. 7, № 2, 2022, 92-99.

[65] იხ. *Honniball A.N,* THE 'PRIVATE ENDS' OF INTERNATIONAL PIRACY: THE NECESSITY OF LEGAL CLARITY IN RELATION TO VIOLENT POLITICAL ACTIVITIES, ICD Brief, № 13, 2015, 8; *Menefee S.P,* THE CASE OF THE CASTLE JOHN, OR GREENBEARD THE PIRATE?: ENVIRONMENTALISM, PIRACY AND THE DEVELOPMENT OF INTERNATIONAL LAW, CALIFORNIA WESTERN INTERNATIONAL LAW JOURNAL, Vol. 24, № 1, 1993, 1-16.

სასამართლოს პასუხი იყო დადებითი, რომელმაც ერთმანეთისაგან გამიჯნა კერძო და საჯარო მიზნები. [66] კერძოდ, სასამართლომ დაასკვნა, რომ პირადი მიზანი იყო საჯარო მიზნის ანტონიმი და მოიცავდა ნებისმიერ ქმედებას, რომელიც არ იყო ჩადენილი სახელმწიფოს სასარგებლოდ. [67] სასამართლოს შეფასებით მოცემულ საქმეში განმცხადებლები არ ამტკიცებდნენ, რომ სადავო ქმედებები ჩადენილი იყო სახელმწიფოს ან სახელმწიფო სისტემის ინტერესებისთვის ან საზიანოდ. შესაბამისად, თუნდაც ეს ქმედებები ასახავდნენ გარკვეულ პოლიტიკურ პერსპექტივას, სასამართლოს ჰქონდა უფლება გადაეწყვიტა იყო თუ არა სადავო ქმედებები ჩადენილი პირადი მიზნებისათვის. [68] დაჰირის საქმეშიც (Dahir v. Republic), სასამართლო მკაცრად მიჯნავს ერთმანეთისგან პირად მიზნებს პოლიტიკური მიზნებისაგან გამორიცხავს რა საზღვაო ტერორიზმს მეკობრეობის განმარტებიდან. [69] სხვა საქმეების ანალიზი გვიჩვენებს სასამართლოების არაერთგვაროვან მიდგომას პირადი მიზნების განმარტების თვალსაზრისით. ამ საქმეებში სასამართლოები, როგორც წესი, ძალზე ფართოდ განმარტავენ პირადი მიზნების ცნებას, რომელიც მათი შეფასებით, პოტენციურად მოიცავს პოლიტიკურ და გარემოსდაცვით მიზნებსაც. [70]

სამეცნიერო ლიტერატურაშიც არსებობს აზრთა სხვადასხვაობა იმასთან დაკავშირებით რამდენად მოიცავს პირადი მიზნების მოთხოვნა პოლიტიკურ მიზნებს. მაგალითად, კევინ ჯონ ჰელერის აზრით, მეკობრეობის განმარტებაში პირადი მიზნების მოთხოვნა არ მოიცავს პოლიტიკურ მიზნებს, რასაც ეთანხმება ჟოზე ლუის ჟეზუსი [71] და დუგლას გილფოილი. [72] მეგი გარდნერი გვთავაზობს განსხვავებულ ხედვას. კერძოდ, ის თვლის რომ ტერორიზმისთვის დამახასიათებელი პოლიტიკური მიზანი ავტომატურად არ გულისხმობს იმ ფაქტს, რომ ტერორისტები ყოველთვის მოქმედებენ საჯარო მიზნის ფარგლებში. [73] ჯეიმს კროუფორდისთვის პირადი მიზნების კონცეპცია პოტენციურად მოიცავს ყველა ძალადობრივ აქტს,

[66] იქვე.
[67] იქვე.
[68] იქვე.
[69] იხ. *Gardner M,* Piracy Prosecutions in National Courts, JICJ, Vol.9, 2012, 811.
[70] იხ. Institute of Cetacean Research and ors v Sea Shepherd Conservation Society and Watson, Appeal judgment, 725 F3d 940 (9th Cir), ILDC 2176 (US 2013), 24th May 2013, United States; Court of Appeals, აბზაცი 4; *QURESHI W.A.,* The Prosecution of Pirates and the Enforcement of Counter-Piracy Laws are Virtually Incapacitated by Law Itself, SAN DIEGO INTERNATIONAL LAW JOURNAL, Vol. 19, № 1, 2017, 106-107.
[71] იხ. *Heller,* A Response to Kontorovich and Gallagher About Piracy (Updated), OpinioJuris, February 27, 2013, http://opiniojuris.org/2013/02/27/a-response-to-kontorovich-and-gallagher-about-piracy/ , [ბოლო განახლების თარიღი: 13.06.2024].
[72] კერძოდ, დუგლას გილფოილი თვლის, რომ თუ გავითვალისწინებთ ღია ზღვის შესახებ ჟენევისა და 1982 წლის კონვენციით მოწოდებულ განმარტებას, მეკობრეობა არ მოიცავს პოლიტიკურ მიზნებს. იხ. *Guilfoyle,* Political Motivation and Piracy: What History Doesn't Teach Us About Law, EJILTALK, 17 June, 2013, https://www.ejiltalk.org/political-motivation-and-piracy-what-history-doesnt-teach-us-about-law/, [ბოლო განახლების თარიღი: 13.06.2024].
[73] იხ. *Gardner M,* Piracy Prosecutions in National Courts, JICJ, Vol.9, 2012, 811.

რომელიც არ არის სანქცირებული სახელმწიფოს მიერ. [74] ვფიქრობ, პირადი მიზნების ძალზე ფართო განმარტება შლის იმ ზღვარს, რაც არსებობს მეკობრეობასა და საზღვაო ტერორიზმს შორის. ამ თვალსაზრისით, მალკოლმ შოუ სამართლიანად მიუთითებს: ,,საერთაშორისო სამართლის თანახმად, მეკობრეობის არსი მდგომარეობს იმაში, რომ ის უნდა განხორციელდეს პირადი მიზნებისთვის. სხვა სიტყვებით, რომ ვთქვათ, პოლიტიკური გატაცების ნებისმიერი აქტი ავტომატურად გამორიცხება მეკობრეობის განმარტებიდან. ანალოგიურად, ეკიპაჟის მიერ გემზე ჩადენილი ნებისმიერი ქმედება, რომელიც მიმართულია გემის, ქონების ან გემზე მყოფი პირების წინააღმდეგ არ შედის ამ კატეგორიაში". [75]მეკობრეობის ცნების კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ელემენტია ორი გემის მოთხოვნა. მეკობრეობა არის ის დანაშაულებრივი ქმედება, რომელიც ხორციელდება ღია ზღვაში ან სახელმწიფოების ექსკლუზიური იურისდიქციის ფარგლებს გარეთ და მოიცავს მინიმუმ ორ გემს. ანუ, მეკობრეობის დროს ერთი გემი თავს ესხმის მეორეს. [76] ეს მოთხოვნა გამორიცხავს გემის ეკიპაჟის წევრების ან მგზავრების მიერ გემის შიდა გატაცების დანაშაულებს, აგრეთვე ამ პირების მიერ გემზე კონტროლის იძულებით დამყარებას. [77]

ცხრილი #4: მეკობრეობისა და საზღვაო ტერორიზმის დანაშაულების გამიჯვნა

დანაშაულები/სამართლებრივი ელემენტები	საერთაშორისო საზღვაო ტერორიზმი	მეკობრეობა
ძალადობის ან დაკავების აქტები ზღვაში	დიახ	დიახ
მხოლოდ ღია ზღვაში ან რომელიმე სახელმწიფოს იურისდიქციის მიღმა	არა	დიახ
ორი გემის მოთხოვნა	არა	დიახ
პირადი მიზნები	არა	დიახ [78]

თავი 3. საზღვაო შეიარაღებული ძარცვა

[74] იხ. *Crawford,* Brownlie's Principles of Public International Law, Oxford, 2012.
[75] იხ. *Shaw,* International Law, Cambridge, 2021, 615.
[76] იხ. *Kandler K.,* Violence at Sea The Legal Framework to Combat Maritime Terrorism, Tromso, 2016, 5.
[77] იქვე.
[78] *Perez-Leon-Acevedo,* International Maritime Terrorism (IMT) at International Tribunals and Courts: *Lex Lata* and *Lex Ferenda* Considerations, ITLOS, https://www.itlos.org/en/main/press-media/itlos-newsletters/newsletter-2022/2/ [ბოლო განახლების თარიღი: 13.06.2024].

საზღვაო შეიარაღებული ძარცვის ცნების ჩამოყალიბებისა და მეკობრეობისგან მისი გამიჯვნის უმთავრესი ფაქტორი არის დანაშაულის ჩადენის ადგილი. [79] საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაცია საზღვაო შეიარაღებულ ძარცვას განმარტავს როგორც ძალადობის, დაპატიმრების ან ძარცვის უკანონო ქმედებას ან ამ ქმედებების ჩადენის მუქარას, რომელიც არ წარმოადგენს მეკობრეობას, მიმართულია გემის ან ამ გემის ბორტზე მყოფი პირების ან ქონების წინააღმდეგ და ხორციელდება სანაპირო სახელმწიფოს იურისდიქციას დაქვემდებარებულ წყლებში, კერძოდ, შიდა წყლებში, არქიპელაგურ წყლებსა და ტერიტორიულ ზღვაში და ნებისმიერ ქმედებას, რომელიც წარმოადგენს ზემოთაღწერილი ქმედებების განხორციელების წაქეზებას ან განზრახ დახმარებას. [80] აღსანიშნავია, რომ ეს განმარტება გაზიარებულ იქნა გაეროს უშიშროების საბჭოს მიერ, რომელმაც მიიღო უპრეცედენტო ზომები სომალელ მეკობრეებთან საბრძოლველად. მაგალითად, უშიშროების საბჭოს რეზოლუციაში #1816 ტერიტორიულ ზღვაში ჩადენილი მსგავსი ქმედებები მოხსენიებულია როგორც საზღვაო შეიარაღებული ძარცვა. [81] მსგავსი განმარტება არის მოცემული გაეროს გენერალური ასამბლეის რეზოლუციებშიც, სადაც საზღვაო შეიარაღებული ძარცვა განიმარტება როგორც გემების წინააღმდეგ ძალადობის ან დაკავების ნებისმიერი უკანონო ქმედება, მათი განადგურება ან ამ ქმედებების ჩადენის მუქარა, რომელიც არ წარმოადგენს მეკობრეობას, მიმართულია გემების ან მათ ბორტზე მყოფი პირების ან ქონების წინააღმდეგ და ხორციელდება სახელმწიფოს იურისდიქციის ფარგლებში. [82] მეკობრეობისაგან განსხვავებით, საზღვაო შეიარაღებული ძარცვა არ არის უნივერსალური იურისდიქციის დანაშაული. [83]

ასევე მეკობრეობისაგან განსხვავებით, საზღვაო შეიარაღებული ძარცვის ობიექტური მხარე, რომელიც მოიცავს მუქარას, არ მოითხოვს დანაშაულის დასრულებულად ჩადენას, რაც იმას ნიშნავს, რომ ის მოიცავს დანაშაულის ჩადენის მცდელობას ან მომზადებას. [84] საქმეში "In re Piracy Jure Gentium" მრჩეველთა საბჭომ (Privy Council) განიხილა საკითხი იყო თუ არა ძარცვა მეკობრეობის დანაშაულის აუცილებელი ელემენტი, რაზეც საბჭოს პასუხი იყო უარყოფითი. [85]

---

[79] იხ. ზოგადად: *Kandler K.,* Violence at Sea The Legal Framework to Combat Maritime Terrorism, Tromso, 2016, 5; ასევე იხ. Resolution A.1025(26) Adopted on 2 December 2009 (Agenda item 10); CODE OF PRACTICE FOR THE INVESTIGATION OF CRIMES OF PIRACY AND ARMED ROBBERY AGAINST SHIPS, მუხლი 2.

[80] იხ. *Logina A,* THE INTERNATIONAL LAW RELATED TO MARITIME SECURITY: AN ANALYSIS OF ITS EFFECTIVENESS IN COMBATING PIRACY AND ARMED ROBBERY AGAINST SHIPS, Malmö, 2009, 42.

[81] იხ. UNSC Resolution 1816, 2 June, 2008, https://digitallibrary.un.org/record/627953.

[82] იხ. UN General Assembly Resolution A.922(22), paragraph 2.2 of the annex; A 26/Res.1025, paragraph 2.2 of the annex.

[83] იხ. *Bunga G.A.,* THE REGULATION OF PIRACY AND ARMED ROBBERY AT SEA IN INTERNATIONAL LAW, Jurnal Hukum dan Peradilan, Vol. 9, № 3, 2020, 433.

[84] იხ. *Logina A,* THE INTERNATIONAL LAW RELATED TO MARITIME SECURITY: AN ANALYSIS OF ITS EFFECTIVENESS IN COMBATING PIRACY AND ARMED ROBBERY AGAINST SHIPS, Malmö, 2009, 44.

[85] იქვე.

საზღვაო შეიარაღებული ძარცვა, როგორც დანაშაულებრივი ქმედება, მიმართულია გემის, გემზე მყოფი პირების ან ქონების წინააღმდეგ. [86] მეკობრეობისაგან განსხვავებით, საზღვაო შეიარაღებული ძარცვის განმარტება არ შეიცავს ორი გემის მოთხოვნას, რაც ნიშნავს იმას, რომ საზღვაო შეიარაღებული ძარცვა შეიძლება ჩადენილ იქნას ერთი გემის ბორტზეც. [87]

საგულისხმოა, რომ სამეცნიერო ლიტერატურაში არსებობს არაერთგვაროვანი შეხედულებები საზღვაო შეიარაღებული ძარცვის მოტივთან დაკავშირებით. ზოგიერთი ავტორი თვლის, რომ აღნიშნული დანაშაული შესაძლოა ჩადენილ იქნეს ნებისმიერი მოტივით. [88] ვფიქრობ, საზღვაო შეიარაღებული ძარცვის მოტივის ძალზე ფართო განმარტება, რომელიც, მათ შორის, მოიცავს პოლიტიკური მოტივით ჩადენილ ქმედებებს, შლის იმ ზღვარს რომელიც არსებობს საზღვაო შეიარაღებულ ძარცვასა და (საერთაშორისო) საზღვაო ტერორიზმს შორის. საზღვაო შეიარაღებული ძარცვის უმთავრესი მიზანი სწორედ ფინანსური, პირადი სარგებლის მიღებაა და ისინი მეკობრეების მსგავსად ცდილობენ მაქსიმალურად აარიდონ თავი ყურადღების ცენტრში მოქცევას იყენებენ რა მხოლოდ იმ საშუალებებს, რაც აუცილებელია მათი მიზნის მისაღწევად. [89]

დასკვნა

წარმოდგენილი ანალიზი მიუთითებს, რომ დანაშაულების შესახებ არსებული არაერთგვაროვანი შეხედულებებისა და პრაქტიკის მიუხედავად, (საერთაშორისო) საზღვაო ტერორიზმის, მეკობრეობისა და საზღვაო შეიარაღებული ძარცვის სამართლებრივი ბუნება განსხვავებულია. საზღვაო ტერორიზმი უმთავრესად პოლიტიკური მოტივით დეტერმინირებული დანაშაულია მაშინ როდესაც მეკობრეობის ჩადენა ხდება პირადი მიზნებით. აღნიშნულ დანაშაულებს შორის არსებული განსხვავება უკავშირდება ასევე ორი გემის მოთხოვნას.

ამასთან, მიუხედავად იმისა, რომ საზღვაო შეიარაღებული ძარცვა ხშირად განიხილება როგორც მეკობრეობის დანაშაულის ქვეკატეგორია, რეალურად აქ საუბარი გვაქვს ორ განსხვავებულ დანაშაულზე, რაც ცალსახად უარყოფს შეხედულებას მეკობრეობის სამართლის საზღვაო შეიარაღებულ ძარცვაზე გავრცელების შესახებ.

ბიბლიოგრაფია:

[86] იქვე.
[87] იქვე.
[88] იქვე, 45-47.
[89] იხ. *SHAH H.A.R.,* A LEGAL ANALYSIS OF PIRACY AND ARMED ROBBERY AT SEA IN THE STRAITS OF MALACCA: THE MALAYSIAN PERSPECTIVE, Birmingham, 2013, 106.

1. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, მუხლი 323 (2), წყარო: საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, გამოქვეყნების თარიღი: 13/08/1999.

2. ტერორიზმთან ბრძოლის შესახებ საქართველოს კანონი, პირველი მუხლის ,,დ" ქვეპუნქტი, წყარო: საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, გამოქვეყნების თარიღი: 11/07/2007.

3. ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის საერთაშორისო კონვენცია (წყარო: https://treaties.un.org/doc/db/terrorism/english-18-11.pdf; ძალაშია 2002 წლის 10 აპრილიდან).

4. ტერორისტული აფეთქებების აღკვეთის საერთაშორისო კონვენცია (წყარო: https://treaties.un.org/doc/db/terrorism/english-18-9.pdf; ძალაშია 2001 წლის 23 მაისიდან).

5. პლასტიკური ფეთქებადი ნივთიერებების გამოვლენის მიზნით მარკირების შესახებ (წყარო: https://treaties.un.org/doc/db/terrorism/conv10-english.pdf; ძალაშია 1998 წლის 21 ივნისიდან).

6. საზღვაო ნაოსნობის უსაფრთხოების წინააღმდეგ მიმართული უკანონო ქმედებების აღკვეთის 1988 წლის SUA კონვენცია (წყარო: https://treaties.un.org/doc/db/terrorism/conv8-english.pdf ; ძალაშია ძალაშია 1992 წლის 1 მარტიდან).

7. კონტინენტურ შელფზე მდებარე ფიქსირებული პლატფორმების უსაფრთხოების წინააღმდეგ მიმართული უკანონო ქმედებების აღკვეთის 1988 წლის ოქმი (წყარო: https://treaties.un.org/doc/db/Terrorism/Conv9-english.pdf; ძალაშია ძალაშია 1992 წლის 1 მარტიდან).

8. ფიქსირებული პლატფორმების უსაფრთხოების წინააღმდეგ უკანონო ქმედებების აღკვეთის 2005 წლის ოქმი (წყარო: https://sherloc.unodc.org/cld/uploads/res/treaties/definitions/treaty/protocol_to_the_protocol_for_the_suppression_of_unlawful_acts_against_the_safety_of_fixed_platforms_located_on_the_continental_shelf_2005_html/Protocol_to_Fixed_Platform_Protocol_E.pdf; ძალაშია 2010 წლის 28 ივლისიდან).

9. საერთაშორისო საზღვაო სამართლის შესახებ 1982 წლის კონვენცია, მუხლი 101, (წყარო: https://www.un.org/depts/los/convention_agreements/texts/unclos/unclos_e.pdf ძალაშია 1994 წლის 16 ნოემბრიდან).

10. გორაშვილი გ, ტერორიზმის კრიმინოლოგიური დახასიათება, თბილისი, 2011

10. Alexander D.C., Maritime Terrorism and Legal Responses, Denver Journal of International Law and Policy, Vol. 19, № 3, 1991.

11. Ambos K., & Timmermann A., Terrorism and Customary International Law, Research Handbook on international law and Terrorism (Ed. B. Saul), Cheltenham, 2020.

12. Attard F. IMO's Contribution to International Law Regulating Maritime Security, Journal of Maritime Law & Commerce, Vol .45, № .4, 2014.

13. Amri A.A., The International Legal Definition of Piracy and Its Motives, Jati, Vol. 19, 2014.

14. Bahar M, Attaining Optimal Deterrence at Sea: A Legal and Strategic Theory for Naval Anti-Piracy Operations, Vanderbilt Journal of Transnational Law, Vol. 40, № 1, 2021.

15. Brock S.B., Stop Giving Pirates a Lifeboat to Escape from Their Attack: The problems in Conflicting Maritime Terrorism and Piracy, Loyola Maritime Law Journal, Vol. 22, 2021.

16. Bezkorovainiy V., Sokolyuk S., Piracy, Maritime Terrorism and Disorder at Sea: The View from the Ukraine, The Corbett Centre for Maritime Policy Studies, № 8, 2012.

17. Bunga G.A., The Regulation of piracy and Armed Robbery at Sea in International law, Jurnal Hukum dan Peradilan, Vol. 9, № 3, 2020.

18. Cassese A., & Gaeta P., Cassese's International Criminal Law, Oxford, 2013.

19. Crawford, Brownlie's Principles of Public International Law, Oxford, 2012.

20. Dixon M., McCorquodale R, Cases and Materials on International Law, Oxford, 2016.

21. Filipe B., Conflicting Piracy and maritime Terrorism: The Need for Long Term Solutions, № s2095157, Leiden, 2017/2018.

22. Garmon T., International Law of the Sea: Reconciling the Law of Piracy and Terrorism in the wake of September 11, Tulane Maritime Law Journal, Vol. 27, № 1, 2002.

23. Ganor B, Defining Terrorism: Is One Man's Terrorist another Man's Freedom Fighter? Police Practice and Research, Vol. 3, № 4, 2002.

24. Gardner M, Piracy Prosecutions in National Courts, JICJ, Vol.9, 2012.

25. Honniball A.N, The 'Private Ends' of International piracy: The Necessity of Legal clarity in relations to Violent Political Activities, ICD Brief, № 13, 2015.

26. Honniball A.N., Private Political Activities and the Intenrational law Definitions of Piracy: Acting for 'Private Ends', Adelaide Law Review, Vol. 36, 2015

27. Hong N., Adolf K.Y. Ng., The international legal instruments in addressing piracy and maritime terrorism: A critical review, Research in Transportation Economics, Vol. 27, № 1, 2010.

28. Joyner C.C., Suppression of Terrorism on the High Seas: The 1988 IMO Convention on the Safety of Maritime Navigation, Israel Yearbook on Hman Rights, Vol. 19, 1989.

29. Karim S. Md, Maritime Terrorism and the Role of Judicial Institutions in the International Legal Order, Leiden/Boston, 2016.

30. Kandler K., Violence at Sea: The Legal Framework to Combat Maritime Terrorism, Tromso, 2016.

31. Kontorovich E, The Penalties for Piracy: An Empirical Study of National Prosecution of International Crimes, Northwestern University School of Law, Faculty Working Papers, 2012.

32. Kurlekar A., Pai M, The Divergence Between International Law and Indian Law Applicable in Counter Piracy Measures: Analyzed Through the Decision of the Republic of Italy v Union of India, Vol. 6, №3, 2013.

33. Knyazeva N.A., Korobeev A.I, Maritime Terrorism and Piracy: The Threat to Maritime Security, Mediterranean Journal of Social Sciences, Vol. 6, № 6 S3, 2015

34. Logina A, The International Law Related to Maritime Security: An Analysis of Its Effectiveness in Combating Piracy and Armed Robbery Against Ships, Malmö, 2009.

35. McGinley, *Achille Lauro* Affair–Implications for International Law, Tennessee Law Review, Vol. 52, №. 4, 1984-1985.

36. Modzhoryan L.A., Terrorism at Sea. The Struggle of the State to Ensure the Safety of Maritime Navigation, Moscow, 1991.

37. Musto C., The Elements of maritime Piracy: Plumbing the Depths for a Legal Solution to an Enduring Global problem, Australian National University (ANU College of Law), 2012.

38. Nelson E.S., Maritime Terrorism and Piracy: Existing and Potential Threats, Global Security Studies, Vol. 3, № 1, 2012.

39. Nilasari, Steele L, UNCLOS Definition of Piracy: Is it still relevant for Modern Piracy, Mulawarman Law Review, Vol. 7, № 2, 2022.

40. Perez-Leon-Acevedo J., Chakhvadze G., Uncharted Waters: Should International Maritime Terrorism Be Included in the Jurisdiction of the international Criminal Court? Duke Journal of Comparative and International Law, Vol. 34, №1, 2024.

41. Paust J.J., Extradition and United States Prosecution of the *Achille Lauro* Hostage-Takers: Navigating the Hazards, Vanderbilt Journal of Transnational Law, Vol. 20, № 2, 1987.

42. Plöger S.M., The prevention of Maritime Terrorism: Is Today's Maritime Security Sufficient? Oslo, 2008.

43. Qureshi W.A., The Prosecution of Pirates and the Enforcement of Counter-Piracy Laws Are Virtually Incapacitated by Law Itself, San Diego International Law Journal, Vol. 19, № 1, 2017.

44. Rubin A, The Law of Piracy, Denver Journal of International Law and Policy, Vol. 15, №2, 1987.

45. Singh C., Bedi A.S., Working Paper No. 543 War on Piracy: The Conflation of Somali Piracy with Terrorism in Discourse, Tactic and Law, International Institute of Social Studies, 2012.

46. Shah H.A.R., A Legal Analysis of Piracy and Armed Robbery at Sea in the Strait of Malacca: The Malaysian Perspective, Birmingham, 2013.

47. Stahn C., An Introduction to International Criminal law, Leiden, 2018, 29;

48. Shaw, International Law, Cambridge, 2021.

49. Tantraphol N., Lorenz F.M., The Applicability of national Anti-Terrorism Laws to Piracy: A Comparative Analysis of Japan, The Philippines, And Singapore, Case Western Reserve University School of Law, 2012.

50. Tuerk H., Combating Terrorism At Sea – The Suppression Of Unlawful Acts, University of Miami International and Comparative Law Review, Vol. 15, № 3, 2008.

51. Walker C., Terrorism and the Law, Oxford, 2011.

52. Young A.J., Valencia M.J., Conflation of Piracy and Terrorism in Southeast Asia: Rectitude and Utility, Contemporary Southeast Asia, Vol. 25, № 2, 2003.

53. Castle John and Nederlandse Stichting Sirius v. NV Mabeco and NV Parfin, International Law Reports, Vol. 77, 1988.

54. Бакала *А*, Морское Пиратство и Терроризм на Море: Проблема Соотношения и Разгроничения Понятий, Национальный университет «Одесская юридическая академия», 2013.

ინტერნეტ-წყაროები:

1. *Suakchev,* Breaches of International Maritime Laws in Russia's War against Ukraine, International Bar Association, 14 June, 2022. https://www.ibanet.org/breaches-international-maritime-law-russia-ukraine

2. How Ukraine Overcame Russia's Grain Blockade, COUNCIL OF FOREIGN RELATIONS, February 27, 2024. https://www.cfr.org/article/how-ukraine-overcame-russias-grain-blockade#:~:text=Soon%20after%20sending%20more%20than,own%20shore%20and%20shallow%20waters.

3. *Lott A.,* Russia's Blockade in the Sea of Azov: A Call for Relief Shipments for Mariupol, EJILTALK, March 14, 2022. https://www.ejiltalk.org/russias-blockade-in-the-sea-of-azov-a-call-for-relief-shipments-for-mariupol/#:~:text=Russia%20also%20controls%20the%20airspace,(see%20the%20map%20above).

4. Who are the Houthis and why are they attacking Red Sea ships?, BBC, 15 March, 2024. https://www.bbc.com/news/world-middle-east-67614911 [ბოლო განახლების თარიღი: 10.06.2024].

5. *Kraska,* Attacks on U.S. Warships Justify Self-Defense Against Houthi Forces Ashore, LAWFARE, January 2, 2024, https://www.lawfaremedia.org/article/attacks-on-u.s.-warships-justify-self-defense-against-houthi-forces-ashore

6. *Vitale,* IMB 2023 report highlights rise in maritime piracy, Ship Technology, July 27, 2023, https://www.ship-technology.com/news/imb-2023-report-highlights-rise-in-maritime-piracy/?cf-view&cf-closed

7. IMO, Reports on Acts of Piracy and Armed Robbery against Ships, MSC. 4/Circ. 193, 2 April, 2013, https://wwwcdn.imo.org/localresources/en/OurWork/Security/Documents/193_Annual2012.pdf

8. *Ajdin,* Piracy attacks on the rise, Splash 247, July 13, 2023. https://splash247.com/piracy-attacks-on-the-rise/

9. The Economics of Piracy, Pirate Ransoms and Livelihoods off the Coast of Somalia, GeoPolicity Inc., May 2011, https://nation.time.com/wp-content/uploads/sites/8/2011/05/the-economics-of-piracy-pirate-ransoms-livelihoods-off-the-coast-of-somalia-geopolicity-may-2011.pdf

10. *Abbas,* Piracy in Somalia, The Nippon Foundation, 2011-2012, https://www.un.org/depts/los/nippon/unnff_programme_home/fellows_pages/fellows_papers/djama_1112_djibouti_PPT.pdf.

11. Who Defeated Somali Pirates? CIMSEC, September 2, 2012. https://cimsec.org/who-defeated-the-somali-pirates/

12. *Heller,* A Response to Kontorovich and Gallagher About Piracy (Updated), OpinioJuris, February 27, 2013, http://opiniojuris.org/2013/02/27/a-response-to-kontorovich-and-gallagher-about-piracy/

13. *Perez-Leon-Acevedo,* International Maritime Terrorism (IMT) at International Tribunals and Courts: *Lex Lata* and *Lex Ferenda* Considerations, ITLOS, https://www.itlos.org/en/main/press-media/itlos-newsletters/newsletter-2022/2/